

საპენსიო დანაზოგების ინვესტირების აუცილებლობა

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-19

დებდემონა მაღლაკელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Dezdemoni.maghlakelidze@atsu.edu.ge

ნათელა ვაშაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Natela.vashakidze@atsu.edu.ge

დიანა უგლავა

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Diana.uglava@atsu.edu.ge

რეზიუმე

საქართველოში სახელმწიფო პენსიის მოცულობა განისაზღვრება კანონმდებლობით და ენიშნებით მამაკაცებს 65, ხოლო ქალებს 60 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. თითოეული ადამიანი ცდილობს ჰქონდეს ბედნიერი და ფინანსურად უზრუნველყოფილი სიბერე, რისთვისაც სახელმწიფო პენსიის ოდენობა, დიდი ალბათობით ვერ იქნება საკმარისი, რადგან ბიუჯეტის თანხა და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობები შეზღუდულია. გამომდინარე იქედან, რომ ადამიანი წარმოადგენს სახელმწიფოს ზრუნვის მნიშვნელოვან ობიექტს, მათთვის საპენსიო ასაკის მიღწევისას გაუჯობესებული ცხოვრების დონის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში 2018 წელს განხორციელებული საპენსიო რეფორმის შედეგად, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა, რომლის მონაწილეებისათვის სავალდებულო საპენსიო შენატანის გადახდა, რომელშიც ჩათულია სახელმწიფოც. დაგროვებული საპენსიო დანაზოგების ინვესტირება შესაძლებელია სამ განსხვავებულ რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე საინვესტიციო პორტფელში. მოქალაქეებს თავად შეუძლიათ აირჩიონ, რომელ პორტფელში სურთ საკუთარი საპენსიო დანაზოგის ინვესტირება. საინვესტიციო პორტფელების არჩევა გადავადდა 2028 წლამდე და ყველა მათგანი ვისაც არჩევანი ინდივიდუალურად არ გაუკეთებია დარჩენ, დაბალრისკიან პორტფელში გადანაწილდა ავტომატურად. გადავადების მიზეზად დასახელდა საპენსიო სააგენტოს მიერ მოქალაქეებზე მიცემული არასაკმარისი ინფორმაცია საინვესტიციო პორტფელების შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია ამ პრობლემის დაძლევისათვის და მეტი სიცხადისათვის მეცნიერების და დარგის მაღალკვალიფიციური მეცნიერ-პრაქტიკოსების ჩართვა აღნიშნული საკითხის კვლევაში. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ნაშრომში საპენსიო დანაზოგების ინვესტირების მნიშვნელოვანი საკითხებია წარმოდგენილი. ინვესტირება, რომ სწორად მოხდეს საჭიროა საზოგადოებასთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება.

საკვანძო სიტყვები: პენსია, საპენსიო შენატანი, საინვესტიციო პორტფელი, ინვესტირება, საპენსიო რეფორმა, ბიზნესი.

შესავალი

დაგროვებითი საპენსიო სქემა, რომელიც ფუნქციონირებს ქვეყანაში მრავალი სიახლეების დანერგვით მიმდინარეობს. პირველია, ის რომ დასაქმებულისათვის იგი წარმოადგენს პირადი დანაზოგის ინვესტირების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, რადგან მის მიერ ინვესტირებული თანხა მყისიერად გასამაგდება დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ მის სასარგებლოდ განხი-

რციელებული საპენსიო შენატანის ხარჯზე. ხოლო მეორედ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საპენსიო შენატანები არ იბეგრება და მათი რეინვესტირების შედეგად მიღებული მოგებაც და თავად პენსიის გაცემაც, რაც მსოფლიოში ცნობილი მოდელებიდან ერთ-ერთი გულუხვ საპენსიო მოდელს წარმოადგენს.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში 2018 წელს განხორციელებული საპენსიო რეფორმის შედეგად შეიქმნა საპენსიო სააგენტო, რომელმაც 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყო სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა თანხების შეგროვება და ადმინისტრირება, რომელიც დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. დაგროვებითი საპენსიო სქემა ეფუძნება დაგროვების 2%+2%+2% პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ დასაქმებული დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ჩარიცხავს მისი ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ს. ამავე მოცულობით ახორციელებს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დამსაქმებელი შენატანს საკუთარი სახელით, ასევე სახელმწიფოც დასაქმებულის ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს დაუბეგრავი ხელფასის 2%-ისა ახორციელებს შენატანს დასაქმებულის სასარგებლოდ. თვითდასაქმებულის შემთხვევაში თვითონ თავის საპენსიო ანგარიშზე გადარიცხვს საპენსიო დასაბეგრი შემოსავლის 4%-ს, ხოლო სახელმწიფო დამატებით 2%-ს. სახელმწიფოს მონაწილეობა დამოკიდებულია მოქალაქის წლიურ შემოსავალზე 24 000 ლარამდე წლიური შემოსავლის შემთხვევაში სახელმწიფო გადარიცხავს 2%-ს. 24 000-დან 60 000 -მდე შემოსავლის შემთხვევაში 1%-ს, ხოლო 60 000 ლარზე მეტი წლიური შემოსავლის შემთხვევაში სახელმწიფო შენატანს აღარ განახორციელებს. სავალდებულო მონაწილეობა გავრცელდა დასაქმებულებზე, რომლებსაც 2018 წლის 6 აგვისტოსათვის კაცებს 60 წელი და ქალებს 55 წელი არქონდათ შესრულებული. რეფორმა შეეხო როგორც საქართველოს მოქალაქეებს ასევე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. აღსანიშნავია, რომ დაგროვებით პენსიაში მონაწილეობა არ გამოირიცხავს სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებას - საპენსიო ასაკის მიღწევისას ბენეფიციარი მიიღებს როგორც დაგროვილ თანხას, ასევე ტრადიციულ სახელმწიფო პენსიას. მოქალაქეთა საპენსიო დანაზოგის ღირებულების გრძელვადიანად შენარჩუნება ან გაზრდა საპენსიო სააგენტოს ძირითადი მიზანია, ამიტომაც იგი დაგროვილი თანხის ინვესტირებას ახდენს. ინვესტირებამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო თანხის დაგროვება, არამედ მიიღოს ისეთი ამონაგები, რომელიც გადააჭარბებს ინფლაციის დონეს და გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდის საპენსიო დანაზოგსაც.

საპენსიო რეფორმა მოსახლეობის დიდ ნაწილს შეეხო. დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ, საპენსიო სააგენტოს მიერ 2023 წლის აგვისტოს თვეში გამოაქვეყნებულ იქნა განაცხადი, რომ დაგროვებით პენსიაში ჩართულ მონაწილეს მოქმედი კანონის მიხედვით, 6 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით უნდა აერჩია თუ როგორი ტიპის საინვესტიციო პორტფელში ისურვებდა საკუთარი საპენსიო დანაზოგის განთავსებას. საპენსიო სააგენტო მოუწოდებდა მოქალაქეებს, რომ მათ შეეძლოთ არჩევანის გაკეთება, როგორც პირადი გვერდიდან ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით, ასევე მისულისყვნენ იუსტიციის სახლში ან სააგენტოს სერვის ცენტრებში და სურვილის შემთხვევაში საინვესტიციო პორტფელები დროულად შეეცვალათ. მათგან შემოთავაზებული იყო სამი ვარიანტი: სტაბილური ანუ ნაკლებრისკიანი, საშუალო-რისკიანი და მზარდი ანუ მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელები, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა აერჩია ბენეფიციარს. საპენსიო სქემის ის მონაწილე პირები, რომლებიც დაგროვებულ თანხას არ გადაანაწილებდა, მაშინ ავტომატურად მას საპენსიო სააგენტო ასაკობრივი კატეგორიების შესაბამისად თავად განათავსებდა შემდეგნაირად:

- მზარდ მაღალრისკიან საინვესტიციო პორტფელში - 40 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივებს;

- შერეულ საშუალო-რისკიან საინვესტიციო პორტფელში - 40 წლიდან 50 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივებს;

● სტაბილურ, ნაკლებადრისკიან საინვესტიციო პორტფელში - 50 ან 50 - ზე მეტი წლის მონაწილის საპენსიო აქტივებს.

საპენსიო სააგენტოს ამ განაცხადის შემდეგ პენსიის მონაწილეების ნაწილმა მართლაც გადანაწილა სხვადასხვა საინვესტიციო პორტფელში დაგროვებული საპენსიო თანხა, მაგრამ მოსახლეობამ არ გამოავლინა მაღალი აქტიურობა აღნიშნული ცვლილების მიმართ. შესაბამისად მთავრობის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ 2028 წლამდე გადავადდა საინვესტიციო პორტფელების არჩევა და ყველანი დაბალრისკიან პორტფელში დააბრუნენ. აუცილებელი გახდა კანონში ცვლილებების პარლამენტის მიერ დაამტკიცება და შემდგომ საინვესტიციო პორტფელების არჩევა. საინტერესოა რა არის ამ პორტფელებს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშნები. როგორც ჩანს მათ შორის განმასხვავებელია საპენსიო დანაზოგების დაბანდება ადგილობრივ, სტაბილურ და ნაკლებრისკიან მიმართულებებზე, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც უცხოურ ვალუტასა და გლობალური კომპანიების აქციებში. „აღნიშნულ საინვესტიციო პორტფელებს შორის სხვაობა მათ შემადგენლობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციულ განაწილებაშია, თუ კი დაბალი რისკიანობის პორტფელში სავალუტო აქტივების წონა 20%-ია, ხოლო აქციების მაქსიმალური დასაშვები წილი 20%-ია, მაღალრისკიანი პორტფელისათვის უცხოური აქტივების მაქსიმალური დასაშვები წილი 60%-მდეა გაზრდილი, ხოლო აქციების დასაშვები მაქსიმალური წილი ასევე 60%-ია.“[1.გვ.27]

აღნიშნულიდან ჩანს, რომ პორტფელებს შორის სხაობაა აქტივების გადანაწილება, რაც გრძელვადიან პერიოდზე წარმოშობს განსხვავებულ მომგებიანობას და დაკავშირებულია რისკიანობასთან. დაგროვებული დანაზოგები დაბალრისკიან პორტფელებში ინვესტირდება საპროცენტო ინსტრუმენტებში, ესენია ობლიგაციები და საბანკო ანგარიშები. ამასთან დასაშვებია მცირე დოზით უცხოურ ვალუტასა და გლობალურ აქციებშიც ინვესტირება. რადგან ინვესტიციების უმეტესობა საპროცენტო ინსტრუმენტებში ხდება, ამიტომაც ეს პორტფელი სტაბილური მომგებიანობით და შედარებით ნაკლებ რისკიანობით ხასიათდება, შესაბამისად საპენსიო სააგენტოში მას უწოდებენ სტაბილურ პორტფელს. 2018-2023 წწ-ში ანუ 5 წლის განმავლობაში ამ პორტფელის „მომგებიანობა შეადგენდა ჯამში 49%-ს, რაც წლიურ 9.3%-ს შეესაბამება. ამ სტაბილურმა, ნაკლებად რისკიანმა პორტფელმა ინფლაციასთან მიმართებით ჯამში 10.13%-ით მეტი, ხოლო წლიურად საშუალოდ 2.17%-ით მეტი მომგებიანობა აჩვენა.“[1.გვ.28] აღნიშნული პორტფელი იმ ადამიანებს შეეფერება, ვისაც სიფრთხილის გამოჩენა სურთ ინვესტირებისას და არ უყვართ რისკების განევა. მათ მიეკუთვნება უმეტესად ის ადამიანები, რომლებიც საპენსიო ასაკთან მიახლოებული არიან და არ სურთ პენსიაზე გასვლისას მათი დანაზოგების ღირებულების მნიშვნელოვანი მერყეობა. შესაბამისად ამ კატეგორიაში ხვდებიან 50+ ასაკის ადამიანები.

დაგროვებული საპენსიო დანაზოგების დაბანდება მაღალრისკიან პორტფელებში უმეტესად ინვესტირდება უცხოურ ვალუტაში და გლობალურ აქციებში, ასევე დასაშვებია საპროცენტო ინსტრუმენტებშიც, როგორცაა ობლიგაციები და დეპოზიტები შედარებით მცირე წილით. საპენსიო სააგენტოს განმარტებით აღნიშნული პორტფელისათვის დამახასიათებელია გრძელ ვადაში მაღალი, მზარდი მომგებიანობა. ამიტომ მას უწოდებენ მზარდ პორტფელს. მაგრამ შესაძლებელია აქციების ფასის შესაძლო მერყეობის გამო, ინვესტირებას ამ პორტფელით თან ახლდეს შედარებით მაღალი რისკი. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ უცხოური აქტივების წილი 60%-მდე შეიძლება გაიზარდოს ამ პორტფელში, რაც ნიშნავს რომ აქტივების ძირითადი ნაწილის ინვესტირება მოხდება საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე, კომპანიების აქციებში. უნდა ავღნიშნოთ, შესაძლებელია „ალტერნატიული“ აქტივების კლასშიც პორტფელის 10%-მდე მოცულობის ინვესტირება. „ალტერნატიული“ აქტივების კლასი მოიცავს მაღალი შემოსავლების მქონე შემდეგ აქტივებს: კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდებს, ვენჩერული კაპიტალის საინვესტიციო ფონდებს, პირდაპირ სესხებს და სხვა. საპენსიო სააგენტოს განმარტებით მზარდი პორტფელი უკეთ შეეფერებათ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ რისკის აღება და მის ხარჯზე სურთ მაღალი მოგების მიღება გრძელ ვადაში. ამიტომ ხშირად ამ პორტფელს ახალგაზრდები ირჩევენ, რომელ-

თაც საპენსიო ასაკამდე რამდენიმე ათეული წელი ამოვრება. შესაბამისად ავტომატური განაწილებისას საპენსიო სააგენტო ირჩევს ამ პორტფელისათვის 40 წლამდე ასაკის ადამიანებს თავიანთი საპენსიო დანაზოგების ინვესტირებაში განთავსებისათვის. რაც შეეხება საშუალორისკიან პორტფელს ზემოთ განხილული ამ ორი პორტფელის ნაზავია.

საპენსიო დანაზოგის ყველა ბენეფიციარი, მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით დაბალრისკიან პორტფელში 2028 წლის იანვრამდე ავტომატურად დარჩებიან, ხოლო რაც შეეხება საშუალო ან დაბალრისკიან პორტფელში დანაზოგის გადატანას შესაძლებელია ბენეფიციარის ინდივიდუალური გადაწყვეტილებით. რაც ნიშნავს, რომ კონკრეტულმა პირმა თავად საკუთარი დანაზოგი გადაიტანოს განაცხადით საშუალო ან მაღალრისკიან პორტფელში. გადავადების მიზეზად დასახელდა ბენეფიციართა ნაკლები ინფორმირებულობა. კერძოდ რომ საკმარისი არ აღმოჩნდა 5 წელი, თანაც ცნობილია რომ ამ პერიოდს დაემთხვა პანდემია, კრიზისი და სხვა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 1.4 მლნ - ზე მეტს სჭირდება სიღრმისეული ინფორმირება თუ სად და როგორ განთავსდება მათი დანაზოგები. შესაბამისად აუცილებელი და საჭიროა საინფორმაციო კამპანია იყოს მეტი მასშტაბური, რათა მეანაბრეებს ჰქონდეთ ყველა დეტალზე სწორი და ამომწურავი ინფორმაცია და საბოლოოდ განაცხადონ თანხმობა და ჩართულობა საშუალო და მაღალრისკიან პორტფელში ინვესტირებისათვის, შეძლონ ზუსტად განსაზღვრონ სად სურთ საინვესტიციო დანაზოგის განთავსება. საზოგადოებისათვის საჭიროა სისტემატიური სანდო ინფორმაციის მიღება მიმდინარე საპენსიო დანაზოგების ინვესტირების შესახებ, ამისათვის საჭიროა ბუბლიკაციები, ნაშრომები უნდა გამოაქვეყნონ შესაბამისი დარგის მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა. საპენსიო სააგენტოს მიმართ დიდია დაინტერესება საპენსიო სქემაში მონაწილეთა შესახებ და როგორია პორტფელს შორის ინვესტიციების განაწილება. საპენსიო სააგენტომ 2024 წლის დეკემბრის თვის საინვესტიციო პორტფელის ანგარიშის თანახმად: „სისტემის მონაწილეთა რაოდენობა - 1 403 358, ხოლო ფონდის მთლიანი ზომა 6 063 600 000 ლარს შეადგენს. შესაბამისად, საპენსიო სისტემის თითოეული მონაწილის მიერ დაზოგილი თანხის მოცულობა საშუალოდ 4320 ლარს შეადგენს. (შენიშვნა: ცალკეული მონაწილის საპენსიო დანაზოგი მისი ანაზღაურებიდან გამომდინარე შესაძლოა, უფრო მეტი ან ნაკლები იყოს). აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსახლეობის საპენსიო დანაზოგების თითქმის 99% ანუ 5,9 მილიარდი ლარი დაბალრისკიან საინვესტიციო პორტფელში იყო განთავსებული.“¹

ამრიგად, ბენეფიციარებს, რომლებსაც არ ექნებათ გაკეთებული განცხადებით მიმართვა საპენსიო ფონდისათვის, რომ გადაყვანილ იქნას საშუალო ან მაღალრისკიან საინვესტიციო პორტფელში, ყველა დაბრუნდება დაბალრისკიან პორტფელში.

პარლამენტმა დაამტკიცა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონში ცვლილებები 2024 წლის 27 ივნისს, რომლის თანახმად საპენსიო სქემის ყველა მონაწილეს აქვს უფლება საინვესტიციო პორტფელის ყოველ 12 თვეში ერთხელ შეცვლის. აღნიშნულმა ცვლილებებმა მოხსნა ის შეზღუდვები, რომელიც 2018 წელს მიღებული კანონით იყო, რომელიც ეხებოდა ერთთვიან ვადას მოქალაქეებისათვის პორტფელს შორის არჩევანის გასაკეთებლად. ამ ვადის გაუქმების აუცილებლობა გაჩნდა რეფორმის მიმდინარეობისას, რომელიც კანონში ცვლილების შეტანით გაუქმდა, კერძოდ გაუქმდა ვადის შეზღუდვაც და ასევე გადავადდა პორტფელში აქტივების ავტომატური განაწილების პროცესიც.

კანონით განხორციელებული ცვლილებები საპენსიო სააგენტოს მმართველობით სისტემის ცვლილებასაც შეეხო, საპენსიო სააგენტოში ორი არათანაბარი მმართველი რგოლის, კერძოდ საინვესტიციო და სამეთვალყურეო საბჭოების ნაცვლად იქმნება ერთი მმართველობითი ორგანო - „მმართველობითი საბჭო“, რომელიც დაგროვებითი საპენსიო სქემის ერთიან მართვას განახორციელებს. აღნიშნული გულისხმობს როგორც საინვესტიციო, ისე ადმინისტრაციულ და სხვა ფუნქციებს. ცვლილებები შედის საზედამხედველო სტრუქტურაში, საინვესტიციო ლიმიტებთან დაკავშირებით და ა.შ. სახელიც საპენსიო სააგენტოც შეეცვალა და სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდი

1 <https://m2b.ge/news/skhvadaskhva/sapensio-sistemis-titoeuli-monatsilis-sashualo-danazogi-4320-lars-sheadgens>

ენოდა. ცვლილების მიხედვით მმართველი საბჭოს მიერ შექმნილ საინვესტიციო კომიტეტს ექნება უფლება ბენეფიციართა საპენსიო დანაზოგები ინვესტიციების სახით განათავსოს სხვადასხვა პროექტებში და მათ შესაძლებლობაც ექნებათ დაგროვილი თანხები გასცენ კრედიტების სახით.

საპენსიო რეფორმის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ეკონომიკის სტიმულირებაზე კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით. საპენსიო დანაზოგის ზრდა ნიშნავს ადგილობრივ ვალუტაში გრძელვადიანი ფინანსური რესურსების გაჩენას, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე. საპენსიო ფონდებში აკუმულირებული თანხების ეკონომიკაში ინვესტირება კაპიტალის ბაზრის მეშვეობით განხორციელდეს, მ.შ. ქვეყნის შიგნით ფასიან ქაღალდებში. „საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება მხოლოდ მათზე რეალური ამონაგების მაქსიმიზაციის მიზნით მონაწილეების ინტერესების პრინციპების დაცვით.“ [3.გვ.83]

აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა როგორც ბიზნესის სტიმულირებისათვის საპენსიო დანაზოგების ზრდა, ასევე აუცილებელია საშუალო და მაღალრისკიან პორტფელებში საპენსიო დანაზოგების გადასვლის ტემპების ზრდა, რომლის იმედსაც იძლევა საპენსიო სააგენტოს მიერ 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, აღნიშნულია, რომ „სააგენტოს აქტივების მოცულობამ 6.5 მილიარდი ლარი, ხოლო ჯამურმა დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.55 მილიარდი ლარი შეადგინა. ასევე 2023 წლის 6 აგვისტოდან 2025 წლის 31 მარტის ჩათვლით დინამიკური პორტფელის რეალურმა განლიურებულმა ამონაგებმა 8.5% შეადგინა. ამავდროულად პერიოდში დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელების რეალური განლიურებული ამონაგები შესაბამისად 8.2% და 7.6% იყო. აღნიშნულ პორტფელებს შორის მთავარი სხვაობა გლობალური აქციების პროპორციაა. მარტის ბოლოს მდგომარეობით, დინამიკურ პორტფელში აქციების წილი - 49.4%, დაბალანსებულში - 30.8%, ხოლო კონსერვატიულში 16.3% იყო.“¹

უნდა ავლენებოდეს, მოსახლეობის აქტივობისათვის და საპენსიო დანაზოგების ინვესტირების გამჭვირვალობის ამაღლების მიზნით „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით 2025 წლის პირველი მაისიდან ამოქმედდება ეროვნული ბანკის საზედამხებდველო მანდატის გაფართოება, რაც ნიშნავს-ეროვნული ბანკი გაუნწევს ზედამხებდველობას საპენსიო სააგენტოს როგორც საინვესტიციო საქმიანობის, ისე ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ფუნქციებსაც. ეროვნული ბანკის ზედამხებდველობის მიზანია საპენსიო დანაზოგების უსაფრთხოებისა და ეფექტიანი მართვისათვის საიმედო გარემოს უზრუნველყოფა.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოში საპენსიო დანაზოგების ინვესტირება მრავალი სიახლეების დანერგვით მიმდინარეობს, რომელსაც თან ახლავს სირთულეები და პრობლემები. მათი დაძლევისათვის აუცილებელია საპენსიო ფონდის მეტი კომუნიკაცია მოსახლეობასთან მათზე საიმედო ინფორმაციების მიწოდებით საპენსიო სქემის მონაწილეებისა და ინვესტირების შედეგებზე. ვიზიარებთ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მოსაზრებას, რომ ვადაზე ადრე კრიტიკულ სიტუაციაში შეეძლოთ 4% -ის გატანა და სახელმწიფოს მიერ გადახდილი 2%-ი გაიცეს პენსიაზე გასვლის შემდეგ

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იობაშვილი თ., დაგროვებითი პენსია და გაურკვევლობა მთავრობასა და საპენსიო სააგენტოს შორის, ჟურნალი „ააფი“ #8 *(284) 2023
2. <https://m2b.ge/news/skhvadaskhva/sapensio-sistemis-titoeuli-monatsilis-sashualo-danazogi4320-lars-sheadgens>
3. რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე -2018 წელი

¹ <https://1tv.ge/news/sapensio-saagento-martis-mdgomareobit-sapensio-saagentos-aqtivebis-moculobam-6-5-miliardi-lari-sheadgina>

https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_reformaze.pdf

4. <https://1tv.ge/news/sapensio-saagento-martis-mdgomareobit-sapensio-saagentos-aqtivebis-moculobam-6-5-miliardi-lari-sheadgina>

REFERENCES:

1. Iobashvili T., Funded Pension and Uncertainty Between the Government and the Pension Agency, Journal "AAFI" #8 *(284) 2023

2. <https://m2b.ge/news/skhvadaskhva/sapensio-sistemis-titoeuli-monatsilis-sashualo-danazogi4320-lars-sheadgens>

3. Regulatory Impact Assessment on the Funded Pension Reform - 2018 https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_reformaze.pdf

4. <https://1tv.ge/news/sapensio-saagento-martis-mdgomareobit-sapensio-saagentos-aqtivebis-moculobam-6-5-miliardi-lari-sheadgina>

THE NECESSITY OF INVESTING PENSION SAVINGS

Dezdemonia Maghlakelidze

ATSU, Associate Professor

Dezdemonia.maghlakelidze@atsu.edu.ge

Natela Vashakidze

ATSU, Associate Professor

Natela.vashakidze@atsu.edu.ge

Diana Uglava

European Central University, Associate Professor

Diana.uglava@atsu.edu.ge

RESUME

In Georgia, the amount of state pension is determined by law and is assigned to men after reaching the age of 65 and women after reaching 60. Each person tries to have a happy and financially secure old age, for which the amount of state pension will likely not be sufficient, as the budget funds and related possibilities are limited. Given that people are an important object of state care, in order to ensure an improved standard of living upon reaching retirement age, as a result of the pension reform implemented in Georgia in 2018, a mandatory funded pension scheme came into effect on January 1, 2019, in which participation and contribution payments are mandatory, with the state also included. The accumulated pension savings can be invested in three investment portfolios with different levels of risk and expected returns. Citizens can choose for themselves which portfolio they wish to invest their pension savings in. The selection of investment portfolios has been postponed until 2028, and all those who have not made an individual choice have been automatically distributed into the low-risk portfolio. The reason for the postponement was cited as insufficient information provided to citizens by the Pension Agency about the investment portfolios. We consider it necessary to involve scientists and highly qualified scientific practitioners in researching this issue to overcome this problem and provide more clarity. That is why this paper presents important issues regarding the investment of pension savings. For proper investment, communication with the public and their information is necessary.

Keywords: Pension, pension contribution, investment portfolio, investment, pension reform, business.